სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 თებერვალი 2024

N 21/1865

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №514 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო გზის I ლოტის ვაზიანი-საგარეჯოს მონაკვეთის (კმ 4+040-დან კმ 27+80-მდე) მშენებლობის ფარგლებში მდ. ივრის კალაპოტის გასწორხაზოვნებასა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს, მათ შორის სააგენტოს 2023 წლის 17 ივლისის №21/5635 წერილში მითითებული შენიშვნები:

- დოკუმენტში მითითებულია, რომ საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია მდ. ივრის კალაპოტის გასწორხაზოვნება და ორივე ნაპირზე გაბიონის კონსტრუქციების მოწყობა, თუმცა, ნაპირსამაგრი ნაგებობების პარამეტრები (სიმაღლე, სიგრძე, სიგანე) მოცემული არ არის;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნება მოხდება მიმდებარე მაღალი ფერდობის ჩამოსწორების ხარჯზე. ვინაიდან, სააგენტოში არსებული ინფორმაციით, აღნიშნული ფერდობი წარმოადგენს პერიოდულად აქტიური მასშტაბური მეწყრული სხეულის ენურ ნაწილს, წარმოდგენილი უნდა იყოს მეწყრული სხეულისა და მოსალოდნელი გართულებების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ნაპირსამაგრი ნაგებობების GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები; ამასთან, გრაფიკულ ნაწილში, განივ კვეთებზე არ არის მითითებული მდინარის საანგარიშო დატბორვის და კალაპოტის წარეცხვის დონეები, რაც შეუძლებელს ხდის დამცავი ნაგებობების შეფასებას;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ სამუშაოები განხორციელდება 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის მარტის ჩათვლით, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „პროექტის ფარგლებში სამუშაოები არ ხვდება მოხდა სახელმწიფო სატყეო ფონდის ტერიტორიაზე.“ აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 38) მითითებულია დანართების ჩამონათვალი, კერძოდ: GIS-ის ფაილი; DWG (ავტოკადის) ფაილი; ექსელის ფაილი (პიკეტაჟის მიხედვით – გრუნტის დაყრა და გრუნტის მოჭრა); სატყეოს ამორიცხვის უწყისი; საპროექტო ნახაზები (pdf). თუმცა, აღნიშნული დოკუმენტაცია არ ახლავს სკრინინგის განცხადებას.
- სკრინინგის განცხადებაზე თანდართულია მდ. ივრის გასწორხაზოვნების დეტალური პროექტი, სადაც მოცემულია მდ. ივრის ჰიდროგრაფიული დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, საპროექტო ღონისძიებები, სამუშაო მოცულობათა უწყისი. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ასახულია სკრინინგის განცხადებაში. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი დოკუმენტის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო